

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

შპს „სამიკიტნო-მაჭახელა“

(ს/ნ 405452567)

22 სექტემბერი 2022

შინაარსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6-14

საქმიანობის შედეგები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა

		2021
შემოსავალი		6,675,532
სარესტორნო მომსახურება	4	5,559,234
ფრენჩაიზინგი და სხვა შემოსავლები		3,926
ექსკლუზივი და სხვა შემოსავლები		1,766
ნედლეულის რეალიზაცია (დღგ-სგან თავისუფალი)		39,933
სხვა შემოსავლები (ნედლეულის რეალიზაცია და სხვა)		70,674
გაყიდული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება		3,030,240
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	2,315,437
პერსონალის ხელფასი		714,802
მთლიანი მოგება		2,645,292
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი		2,319,957
ადმინისტრაციის ხელფასი		70,616
იჯარა	6	883,586
დაცვა		9,296
კომუნიკაცია		11,603
კომუნალური	7	435,731
მიწოდების სხვა ხარჯები		544,648
საწვავი		8,462
რემონტი		85,621
სამეურნეო	8	218,647
ბანკის მომსახურების საკომისიო		19,893
საკანცელარიო		11,955
სხვა ხარჯები		19,899
მთლიანი საოპერაციო ხარჯი		2,319,957
საოპერაციო მოგება		325,335
ცვეთა და ამორტიზაცია		88,831
დარიცხული პროცენტები		-
წმინდა საოპერაციო მოგება		236,504
არასაოპერაციო მუხლები		10,964
შემოსავლი გადაფასებიდან		2,835
მიღებული პროცენტები, იჯარები და სხვა შეღავათები		8,246
სხვა არასაოპერაციო ზარალი (ჯარიმები)		(118)
მოგება გადასახდებამდე		247,468
მოგების გადასახადი		-
საანგარიშო პერიოდის მოგება		247,468

/დიმიტრი ელიზბარაშვილი/
დირექტორი

საქმიანობის შედეგები			
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		შენიშვნა	2021
შემოსავალი			6,675,532
სარესტორნო მომსახურება	4		5,559,234
ფრენჩაიზინგი და სხვა შემოსავლები			3,926
ექსკლუზივი და სხვა შემოსავლები			1,766
ნედლეულის რეალიზაცია (დღგ-სგან თავისუფალი)			39,933
სხვა შემოსავლები (ნედლეულის რეალიზაცია და სხვა)			70,674
გაცივებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება			3,030,240
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5		2,315,437
პერსონალის ხელფასი			714,802
მთლიანი მოგება			2,645,292
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი			2,319,957
ადმინისტრაციის ხელფასი			70,616
იჯარა	6		883,586
დაცვა			9,296
კომუნიკაცია			11,603
კომუნალური	7		435,731
მიწოდების სხვა ხარჯები			544,648
საწვავი			8,462
რემონტი			85,621
სამეურნეო	8		218,647
ბანკის მომსახურების საკომისიო			19,893
საკანცელარი			11,955
სხვა ხარჯები			19,899
მთლიანი საოპერაციო ხარჯი			2,319,957
საოპერაციო მოგება			325,335
ცვეთა და ამორტიზაცია			88,831
დარიცხული პროცენტები			-
წმინდა საოპერაციო მოგება			236,504
არასაოპერაციო მუხლები			10,964
შემოსავლი გადაფასებიდან			2,835
მიღებული პროცენტები, იჯარები და სხვა შედეგათები			8,246
სხვა არასაოპერაციო ზარალი (ჯარიმები)			(118)
მოგება გადასახადებამდე			247,468
მოგების გადასახადი			-
საანგარიშო პერიოდის მოგება			247,468

/დირექტორი ელიზბარაშვილი/
დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-21
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ნაღდი ფული და ექვივალენტები		125,024
დებიტორული დავალიანება	9	137,662
სასაქონლო მარაგები	10	638,846
წიანასწარ გაწეული ხარჯი		-
ავანსები		11,096
სხვა მისაღები თანხები		-
წიანასწარ გადახდილი გადასახადები		-
მთლიანი მიმდინარე აქტივები		912,628
ძირითადი საშუალებები	11	799,402
ინვესტიციები		-
გადავადებული გადასახადები		-
სხვა აქტივები		-
<u>მთლიანი აქტივები</u>		<u>1,712,030</u>
ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	12	713,647
მოკლევადიანი სესხები		-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		3,037
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები		716,684
სხვა ვალდებულებები		-
გრძელვადიანი სესხი		-
გადასახადების დავალიანება		77,878
მთლიანი ვალდებულებები		794,562
საწესდებო კაპიტალი		670,000
აქციები		-
აქტივების გადაფასების რეზერვი		-
სხვა რეზერვები		-
მიმდინარე პერიოდის მოგება		247,468
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		-
მთლიანი კაპიტალი		917,468
<u>მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი</u>		<u>1,712,030</u>

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2021
ფული პერიოდის დასაწყისში (ლარი)	0
შემოსავლები:	
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები სალაროში	1,718,604
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები ა/ა-ზე	4,915,769
სულ შემოსული თანხები	5,915,373
გასავალი საქონლის შეძენაზე:	
შესყიდვები (პროდუქტი 1)	2,854,497
დახმარე პროდუქტები	204,001
სულ შესყიდვები	3,058,498
საოპერაციო ხარჯები:	2,503,761
სახელფასო ხარჯები	619,828
მომსახურება	13,617
ქირა	889,180
კომუნალური ხარჯები	299,365
საბანკო მომსახურების ხარჯები	19,891
დაზღვევა	-
რემონტი	16,557
სამეურნეო	148,342
საკანცელარიო	26,083
სხვა ხარჯი	-
საპენსიო	21,248
გადასახადები	449,650
სულ გაცემული თანხები	5,562,259
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	353,114
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:	
ძირითადი საშუალებების შეძენა	895,254
კაპიტალური ხარჯები	-
დივიდენდი	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	(895,254)
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან	
სესხის მიღება	-
სესხის პროცენტის დაფარვა	-
გადაფასება, კონვერტაციის საკომისიო	(2,835)
სესხის პროცენტის მიღება	-
საკუთარი კაპიტალის ზრდა	670,000
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	667,165
ფული პერიოდის ბოლოს	125,024

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		-		-
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		247,468		247,468
დივიდენდები		-		-
კაპიტალის გაზრდა		670,000		670,000
დაუფარავი ზარალის გაუქმება				
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		917,468		917,468

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამიკიტნო-მაჭახელა“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა 2021 წლის 29 მარტს, ამავე დღეს გაიარა სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია და მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი 405452567.

შპს „სამიკიტნო-მაჭახელა“-ს საქმიანობის ძირითადი მიმართულება არის საზოგადოებრივი კვება, რომელიც წარმოდგენილია რესტორან „სამიკიტნო-მაჭახელას“ ქსელით თბილისსა და ბათუმში.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შახტა ლაბორატორიის მიმდებარედ.

ფაქტობრივი მისამართია: თბილისი, ბახტრიონის ქ. #12ა.

კომპანიის დამფუძნებლები არის ვანო სტურუა (პ.ნ. 01026001882) – 100 % წილით;

კომპანიის დირექტორია დიმიტრი ელიზბარაშვილი (პ.ნ. 01009007448).

კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2021 წლის 01 აპრილს.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების (მსს) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ერთ ლარამდე გარდა სხვაგვარად აღნიშნულისა.

წინამდებარე ანგარიშგება ჯერ არ არის დამტკიცებული კომპანიის პარტნიორის მიერ პარტნიორთა კრებაზე. კომპანიის პარტნიორს უფლება აქვს წინამდებარე ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის, ანგარიშგების გამოშვების შემდგომაც.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1. უცხოური ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისათვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ფულადი ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.2. ძირითადი საშუალებები

3.2.1. აღიარება შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით (მსს 17.9).

ძირითადი საშუალებების ღირებულება მცირდება დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად.

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში შეიტანება (ა) მისი ნასყიდობის ფასი, სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლებით; (ბ) ნებისმიერ დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან; (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები; ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილის ცვლილების (შეცვლის/გამოცვლის) შემთხვევაში ხდება ასეთი ნაწილის აქტივად აღიარება დამოუკიდებელ ძირითად საშუალებად სასარგებლო გამოყენების კონკრეტული ვადით და შესაბამისად ერიცხება ცვეთა.

3.2.2. ცვეთა

ცვეთის გაანგარიშება ხდება ცვეთის წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან კომპონენტს ერიცხება ძირითადი საშუალებისაგან განსხვავებული ცვეთა, თუ ამ კომპონენტს აქტივისაგან (რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს ის) განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს.

მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხორციელდება.

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით შეადგენს:

- | | |
|---------------------------------------|--------------------------|
| • აღჭურვილობა | 4 წელი; |
| • ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 წელი; |
| • მანქანა დანადგარები | 8 წელი; |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 10 წელი; |
| • იჯარით არებული ქონების კეთილმოწყობა | 15% ნარჩენი ღირებულების; |

3.2.3. აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება: ა) გაყიდვის შემთხვევაში; ან ბ) როდესაც მისგან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი შეიტანება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

3.3. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მათი შემენისას აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც მცირდება მათი გამოყენების ვადის საფუძველზე გაანგარიშებული ამორტიზაციის თანხით.

3.4. მარაგები

3.4.1. აღიარება და პირველადი შეფასება

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან, წარმოებასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრა ხდება თვითღირებულების გაანგარიშების „საშუალო შეწონილი“ - მეთოდის გამოყენებით.

3.5. ფინანსური ინსტრუმენტები

3.5.1. აღიარება და პირველადი შეფასება

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება იმ მომენტიდან, როდესაც კომპანია გახდა ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით, რომელიც, ჩვეულებრივ, წარმოადგენს ოპერაციის (გარიგების) ფასს.

3.5.3. აღიარების შეწყვეტა

აქტივის აღიარება წყდება იმ შემთხვევაში, თუ (1) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის ან/და (2) ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებლო უფლებები გადაეცემა სხვა პირს ან/და (3) მართალია კომპანია ინარჩუნებს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებლო უფლებებს, თუმცა იმავდროულად იღებს სახელშეკრულებო ვალდებულებას ეს ფულადი ვალდებულებები გადაუხადოს სხვა პირ(ებ)ს.

ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. (1) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, (2) გაუქმდება ან (3) ვადა გაუვა.

3.6. ავანსები

ავანსების აღრიცხვა ხდება პირველადი ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გაუფასურების თანხებით.

3.7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

3.8. გადასახადები

3.8.1. საგადასახადო აქტივი / საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო აქტივი და, შესაბამისად საგადასახადო ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილ, შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებით გადასახდელ საგადასახადო ვალდებულებ(ებ)ის (გადასახადი, საგადასახადო ჯარიმა/საურავი) თანხებს.

3.8.2. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს - 15%-ს. 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადით იბეგრება ფიზიკურ ან/და არარეზიდენტ პირებზე დივიდენდის სახით გაცემული მოგება და შეადგენს განაწილებული მოგების 15%-ს (ესეიგი განაწილებული დივიდენდის თანხის 15/85-ს).

მოგების გადასახადი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში აღირიცხება ვალდებულებად და შეიტანება ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3.8.3. დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების განაკვეთი შეადგენს 18%-ს. დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა.

შემოსავლებისა და ხარჯების, ისევე როგორც შეძენილი მომსახურების/აქტივების, აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამატებული ღირებულების გადასახადი ჩათვლას არ ექვემდებარება.

3.9. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და დაგროვილ მოგებას/დაგროვილ ზარალს.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში ხორციელდება პარტნიორთა კრების ოქმის ან/და წესდებაში ცვლილების შეტანის დოკუმენტის საფუძველზე.

დაგროვილი მოგება/ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებული მოგება/ზარალის თანხას.

დივიდენდები აღირიცხება ვალდებულებად იმ საანგარიშო პერიოდში, რომელშიც ის გამოცხადდა.

3.10. შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს მომავალი ეკონომიკური სარგებლის ზრდა გამოწვეულია აქტივების ზრდით ან ვალდებულებების შემცირებით და მისი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია:

საქონლის მიწოდების და/ან მომსახურების გაწევის შემთხვევაში, შემოსავლის აღიარება ხდება, თუ კომპანიამ შეასრულა გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული ყველა პირობა და შესაბამისი თანხა გადახდილი იქნა ან/და ექვემდებარება გადახდას (შესაბამისად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდიდება).

შემოსავლის აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, რომელიც არ მოიცავს ფასდათმომებს და დამატებული ღირებულების გადასახადის თანხებს.

3.11. ხარჯები

ხარჯები აღიარდება მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები აღიარდება დამატებული ღირებულების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დღგ-ს ჩათვლა არ წარმოებს.

4. 2020 წლის შემოსავალი სარესტორნე მომსახურებიდან

შემოსავლები მოცემულია რესტორნების მიხედვით

	შემოსავალი	შენიშვნა
1 სამიკიტნო, თუმანიანის #23	1,567,232.70	გაიხსნა აპრილში
2 სამიკიტნო კოსტავას #77	1,099,479.06	გაიხსნა აპრილში
3 სამიკიტნო ბათუმში	346,569.72	გაიხსნა ოქტომბერში
4 სამიკიტნო პუშკინის #5-7	413,377.06	გაიხსნა მაისში
5 სამიკიტნო ფხოვის #2	227,147.20	გაიხსნა ივნისში
6 სამიკიტნო წერეთლის მეტროს მიმდებარედ	67,045.78	გაიხსნა ოქტომბერში
7 სამიკიტნო ხიზანიშვილის #31	1,049,658.63	გაიხსნა აპრილში
8 სამიკიტნო ჯავახეთის #16	788,723.88	გაიხსნა აპრილში
9 სულ შემოსავალი	5,559,234.02	

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

თვითღირებულების ძირითადი შემადგენელი ნედლეულია: ნედლი ხორცი, ყველი, ბოსტნეული.

თვითღირებულებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასმელებს, რაც მოიცავს: არაყს, ლუდს, ღვინოს, ლიმონათს, წვენს. მცირე წილი უკავია დანარჩენ ალკოჰოლურ სასმელებს.

თვითღირებულება ასევე მოიცავს დესერტს: ტკბილეული, ხილი, ნაყინი.

6. იჯარის ხარჯი

	2021
1 საწყობი, თბილისი	10,297
2 სარესტორნე ფართის იჯარა, ბათუმი	72,500
3 სარესტორნე ფართის იჯარა (თბილისის რესტორნები)	800,789
4 ჯამი:	883,586

7. კომუნალური ხარჯი

	2021
	ლარი
ელექტორ ენერგია	283,268
გაზი	47,188
წყალი	86,074
დასუფთავება	9,201
სულ ხარჯი	435,731

8. სამეურნეო ხარჯი

სამეურნეო ხარჯი აერთიანებს: ჰიგიენის საშუალებებს, სადეზინფექციო საშუალებებს, ქაღალდის პროდუქციას და სამეურნეო მცირეფასიან ინვენტარს. სამეურნეო საქონელი გამოიყენება როგორც ჭურჭლის დასასუფთავებლად, ასევე შენობების, სამზარეულოს და ეზოს დასასუფთავებლად.

9. დებიტორული დავალიანება

	2020 ლარი
მოთხოვნები იურიდიულ პირებზე (ფინანსური ინსტიტუტების გარდა) გაწეული მომსახურებიდან	105,495
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტის (ბანკი) მიმართ მომხმარებელთან უნაღდო ანგარიშწორების მოსახურებიდან	32168
ჯამი	137,662

10. წლის ბოლოს არსებული მარაგები

წლის ბოლოს არსებული მარაგების ძირითადი შემადგენელი ნედლეულია: ნედლი ხორცი, ყველი, ბოსტნეული.

მარაგებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასმელებს, რაც მოიცავს: არაყს, ლუდს, ღვინოს, ლიმონათს, წვეს. მცირე წილი უკავია დანარჩენ ალკოჰოლურ სასმელებს.

11. ძირითადი საშუალებები

	მანქანა-დანადგარები	აღჭურვილება	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	არამატერიალური აქტივები	სულ
2021 წლის 01 იანვარი	-	-	-	-	-	-	-
შემოსვლა	332,125	42,158	180,329	64,000	269,620	-	888,233
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
გადაცემები	-	-	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	332,125	42,158	180,329	64,000	269,620	-	888,233
ცვეთა	27,393	6,740	24,167	4,689	25,842	-	88,831
გასული ძ. საშ.	-	-	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	27,393	6,740	24,167	4,689	25,842	-	88,831
საბ. ღირ. 01.01.2021	-	-	-	-	-	-	-
საბ. ღირ. 31.12.2021	304,732	35,418	156,162	59,311	243,950	-	799,402

12 კრედიტორული დავალიანება

	2020
	ლარი
ვალდებულება ნედლეულის მომწოდებლების მიმართ	304,145
ვალდებულება გამქირავებლების მიმართ	121,396
ვალდებულება კომუნალურის მომწოდებლების მიმართ	230,888
ვალდებულება მომსახურების მომწოდებლის მიმართ	3,632
ვალდებულება ინვენტარის და რემონტის მასალების მომწოდებლების მიმართ მიმართ	65
სხვა ვალდებულებები	53,519
ჯამი	713,647

დირექტორი

დimitრი ელიზბარაშვილი

12 კრედიტორული დაგალიანება

	2020
	ლარი
ვალდებულება ნედლეულის მომწოდებლების მიმართ	304,145
ვალდებულება გამქირავებლების მიმართ	121,396
ვალდებულება კომუნალურის მომწოდებლების მიმართ	230,888
ვალდებულება მომსახურების მომწოდებლის მიმართ	3,632
ვალდებულება ინვენტარის და რემონტის მასალების მომწოდებლების მიმართ მიმართ	65
სხვა ვალდებულებები	53,519
ჯამი	713,647

დირექტორი

დიმიტრი ელიზბარაშვილი

